შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 16/04/2021

საჩივრის ავტორი

თამაზ სოზაშვილი

საბჭოს შემადგენლობა

ნინო ფაშალიშვილი, აკაკი გელოვანი, ანდრია ლაშხი.

საქმის განხილვის ფორმა

ზეპირი მოსმენა - ელ. საკომუნიკაციო (Zoom) საშუალებით. გამოყენებულია ვიდეო - აუდიო ჩაწერა. საბჭოს გადაწყვეტილება გამოცხადდა განხილვის დღეს, მისი დასრულების შემდეგ.

საკითხის განხილვაში ჩართული პირები

თამაზ სოზაშვილი

თამარ გურჩიანი (საჩივრის ავტორის წარმომადგენელი)

განსახილველი საკითხი

ტელეკომპანია "იმედის" ეთერში 2021 წლის 16 მარტს განთავსებული გადაცემის "სიცრუის დეტექტორის" ფარგლებში გაკეთებული განცხადებები.

1. **საჩივრის დასაშვებობა**

საბჭომ მოისმინა საჩივრის ავტორის დასაბუთება საჩივრის დასაშვებობის დაკმაყოფილების თაობაზე, განიხილა საკითხი და იმის გათვალისწინებით, რომ

- "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე - 2 მუხლის ე) პუნქტის თანახმად "დაინტერესებული პირი" არის "ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე **პირდაპირ და უშუალო** გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა",

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 16/04/2021

- "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე - 6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "<u>**დაინტერესებულ პირს**</u> საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით",
- საჩივარი საბჭოს წარედგინა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში,
- საჩივრის ავტორმა დაასაბუთა კანონმდებლობით განსაზღვრულ "დაინტერესებული პირის" ცნებასთან მისი შესაბამისობა სრულად და ამომწურავად,
- საჩივარი აკმაყოფილებს განსახილველად დაშვებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა აუცილებელ პირობებს,

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე

მიიჩნია, რომ

საჩივრი აკმაყოფილებს მისი დასაშვებობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ პირობებს და

<u>მიიღო გადაწყვეტილება</u> საჩივრის არსებით განხილვაში დაშვების შესახებ.

2. <u>აღწერილობითი ნაწილი:</u>

2021 წლის 16 მარტს ტელეკომპანია "იმედის" სამაუწყებლო ეთერში განთავსდა გასართობი ხასიათის გადაცემა "სიცრუის დეტექტორი". გადაცემაში მოწვეულმა სტუმრებმა განიხილეს არაჰეტერონორმატუილი სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა პირადი ცხოვრება. საჩივრის ავტორის აზრით, განხილვისას მოწვეული სტუმრების მიერ დაირღვა "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 31 - ე მუხლი, 33 - ე მუხლის მე - 2 და მე - 3 პუნქტები, ასევე "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტი.

შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 16/04/2021

2.1. **საჩივრის ავტორის მოთხოვნები:**

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31 - ე მუხლის, 33 - ე მუხლის მე - 2 და მე - 3 პუნქტების, ასევე "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტის დარღვევის დადგენა;

2.2. **მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:**

"მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №2, 2009 წლის 12 მარტი - მოხსენიებული როგორც "მაუწყებელთა ქცევის კოდექსი") 31 - ე მუხლის, 33 - ე მუხლის მე - 2 და მე - 3 პუნქტების, ასევე "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტი

2.3. **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები**

2.3.1. საბჭომ შეისწავლა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა ეთერში განთავსებულ გადაცემასთან (https://www.imedi.ge/ge/video/72181/sitsruis-deteqtori--gia-korkotashvili#!?page=2) და

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებად მიიჩნია:

2.3.1.1. 2021 წლის 16 მარტს ტელეკომპანია "იმედის" სამაუწყებლო ეთერში განთავსდა გასართობი ხასიათის გადაცემა "სიცრუის დეტექტორი", სადაც თამაშში მონაწილე გია კორკოტაშვილთან ერთად მოწვეული იყო ასევე მისი ორი მეგობარი - გია კორკოტაშვილმა ისინი წარადგინა, როგორც ზაზა გიორგაძე და ბატონი გიგლა;

2.3.1.2. გადაცემაში (20:40 წთ) გადაცემის წამყვანი აღნიშნავს, "გია კორკოტაშვილს თბილისში უცხოვრია, სადაც იყო განსხვავებები .... მე ვიცი, რომ თქვენ ჰომოფობი არ ხართ",

2.3.1.3. გადაცემაში (22:25 წთ) გადაცემის წამყვანმა განაცხადა "ვგულისხმობთ ორგანიზაციებს, კონკრეტულ ორგანიზაციებს ... პროპაგანდას თქვენ რასაც არქმევთ, მე მაგალითად არ მიმაჩნია ეს პროპაგანდა, თუმცა ისიც მინახავს სპეციალურად როგორ იყენებენ ადამიანების განსხვავებულ განწყობას იმისთვის, რომ შექმნან სურათი, როგორ მაგალითად იდევნება და როგორი არატოლერანტული ქვეყანა არის საქართველო ..."

შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 16/04/2021

2.3.1.4. გადაცემაში (22:56 წთ) გია კორკოტაშვილი აღნიშნავს, "ორი ახალგაზრდა ბიჭი 51 - ე სკოლის წინ ტუჩებში რო კოცნის ერთმანეთს ... გოგოს კოცნა ტუჩებში შეიძლება არ იყოს ისეთი მორალური თვალსაზრისით, მაგრამ ჩვეულებრივი ჰარმონიაა უყურებ და მორჩა."

2.3.1.5. გადაცემაში (24:03 წთ) გადაცემის სტუმარი ბატონი გიგლა აღნიშნავს "ზღვარი გადის იქ, რომ არ არიან კარგად აღზრდილი ..... მისაღები არ არის. მეც ხომ მაქვს უფლება გამოვხატო, მარტო ის ხომ არ არის უმცირესობა?!"

2.3.1.6. გადაცემაში (25:25 წთ) გია კორკოტაშვილი აღნიშნავს, "ზუსტად ისე, როგორც ისინი ზეიმობდნენ რაღაცა დღეს, ჩვენ ამ ზეიმისადმი პროტესტს გამოვხატავდით ... იმათმა დაინახეს, რომ შეიძლება მართლა ხიფათში გახვეულიყვნენ და ამ ადამიანებმა თქვეს, შეიძლება გავილახოთ და არ გვინდა ... შენი თქმის არ იყოს, არ მაქვს სურვილი ყველას ვუბაგუნო, შეიძლება ვუთხრა, სირცხვილია ..."

2.3.2. **საბჭომ შეისწავლა გადაცემაში მოტანილი სხვა განცხადებები და დაადგინა შემდეგი <u>დამატებითი</u> ფაქტობრი გარემოებები:**

2.3.2.1. გადაცემაში (22:15 წთ) გია კორკოტაშვილმა განაცხადა - "იმ ადამიანებს ვერ ვიტან, რომლებიც პროპაგანდას ეწევიან",

2.3.2.2. გადაცემაში (23:00 წთ) გადაცემის წაყვანმა გიორგი გასვიანმა განაცხადა "მე არ მინახავს მსგავსი ბატონო გია ქუჩაში მართლა",

2.3.2.3. გადაცემაში (23:38 წთ)

გადაცემის წამყვანმა მიმართა გია კორკოტაშვილს:

"ესეიგი რო უნდოდეს და აკოცოს ესეიგი, უნდა შეეშინდეს და არ აკოცოს?! ეხლა ეს გიგლას არ უნდა, მე არ მინდა თქვენ არ გინდათ, ვიღაცას არ უნდა ... ვიღაცას უნდა, ანუ არ უნდა გააკეთეთოს?!"

გია კორკოტაშვილმა უპასუხა:

"რიდი უნდა ქონდეს! უნდა, ეგრე სად არის?! ასე ჩაიხდის ვიღაცა და გაივლი - გამოივლის ..."

აღნიშნულ რეპლიკას დაეთანხმა გადაცემის ორივე სტუმარი.

2.4. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემებების გათვალისწინებით, მაუწყებელმა დაარღვია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 31 - ე მუხლი, 33 - ე მუხლის მე - 2 და მე - 3 პუნქტები, ასევე "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტი. ამასთან საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მართალია, გადაცემის წამყვანს ჰქონდა მცდელობა წინააღმდეგობა

შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 16/04/2021

გაეწია სტუმრების მიერ გამოთქმული კანონსაწინააღმდეგო გამონათქვამებისთვის, თუმცა აღნიშნული მცდელობა არ იყო საკმარისი.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. **საბჭოს შემაჯამებელი დასკვნა**

საბჭომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს, რაც წარმოადგენს საჩივრის უპირობოდ დაკმაყოფილების საფუძველს.

3.2. **კანონმდებლობა, რომლითაც იხელმძღვანელა საბჭომ:**

- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31 - ე მუხლი (მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი):
  "მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე."
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33 - ე მუხლის (სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ) მე - 2 პუნქტი:
  "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი."
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33 - ე მუხლის (სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ) მე - 3 პუნქტი:
  "მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება."
- "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტი (პროგრამული შეზღუდვები):

შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 16/04/2021

"იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას."

- "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (დისკრიმინაციის ცნება) მე - 2 პუნქტი: "პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად."

3.3. **შეფასება**

3.3.1. საბჭო აღნიშნავს, რომ 2.3.1.4. – 2.3.1.6. ასევე ასევე 2.3.2.1. და 2.3.2.3. პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გათვალსწინებით, მართალია, საქმე არ გვაქვს განსახვავებული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის პირდაპირ და აშკარა წაქეზების საფრთხის შექმნის ფაქტთან, თუმცა სახეზეა მისი გამართლებისა და წახალისების ირიბი შემთხვევა.

3.3.2. საბჭო აღნიშნავს, რომ 2.3.1.2, 2.3.2.2. და 2.3.2.3. პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გათვალსწინებით, გადაცემის წამყვანმა გიორგი გასვიანმა მართალია, გამოთქვა ზემოხსენებული დისკრიმინაციული განცხადებების საპირისპირო აზრი, თუმცა აღნიშნული მცდელობა საკმარისი არ იყო, რადგან მისი განცხადებები არ იყო მკაფიო და ცალსახა, ასევე გიორგი გასვიანის მიერ გაკეთებული განცხადება (2.3.1.3. პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება) – "ისიც მინახავს სპეციალურად როგორ იყენებენ ადამიანების განსხვავებულ განწყობას იმისთვის, რომ შექმნან სურათი, როგორ მაგალითად იდევნება და როგორი არატოლერანტული ქვეყანა არის საქართველო" უნდა იქნას

შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 16/04/2021

განხილული როგორც ჰომოფობიური აქტივობების ირიბი წახალისებისთვის გამოყენებული ერთერთი არგუმენტის გამართლებად.

3.3.3. საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ სამაუწყებლო გადაცემა "სიცრუის დეტექტორი" წარმოადგენს გასართობი ტიპის გადაცემას, გადაცემა არ გადაიცემა პირდაპირ ეთერში და არსებობს ეფექტური საშუალება მისი შესაბამისი რედაქტირებისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვნისთვის.

4. სარეზოლუციო ნაწილი

საბჭომ იხელმძღვანელა "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 31 - ე მუხლით, ასევე ამავე მუხლის 33 - ე მუხლის მე - 2 და მე - 3 პუნქტებით, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტით და "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (დისკრიმინაციის ცნება) მე - 2 პუნქტით და

გადაწყვიტა

თამაზ სოზაშვილის საჩივარი დაკმაყოფილდეს სრულად, კერძოდ, დადგენილად ჩაითვალოს "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 31 - ე მუხლის, ასევე ამავე მუხლის 33 - ე მუხლის მე - 2 და მე - 3 პუნქტებისა და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56 - ე მუხლის მე - 3 პუნქტის დარღვევა.

ანდრია ლაშხი

ნინო ფაშალიშვილი

აკაკი გელოვანი